<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია გარემოზე ზიანის მიყენების საკითხების სამართლებრივი რეგულირება, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენციასთან, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის შერბილებასთან, ზიანის მიყენებისას განსახორციელებელ ღონისძიებებთან, მათ შორის, გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელებასა და გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით, ამ კანონის მე-3 მუხლით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით და 28-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დებულებებისა, არ ვრცელდება:

ა) გარემოზე ზიანის მიყენების ან გარემოზე ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის ისეთ შემთხვევაზე, რომელიც გამოწვეულია:

ა.ა) ფორსმაჟორული სიტუაციით;

ა.ბ) შეიარაღებული კონფლიქტით;

ა.გ) ეროვნულ უსაფრთხოებასთან/თავდაცვასთან ან/და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოქმედებებით.

ბ) შემთხვევაზე, როდესაც შეუძლებელია იმ პირის იდენტიფიცირება, რომლის უკანონო ქმედებამაც გარემოზე ზიანის მიყენება გამოიწვია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა;

გ) კერძო მესაკუთრისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაზე, რაც არ გამორიცხავს კერძო მესაკუთრის უფლებას, კანონმდებლობის შესაბამისად, მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისგან ზიანის ანაზღაურება;

დ) შემთხვევაზე, რომელიც გამოწვეულია დიფუზიური ხასიათის ემისიებით (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება);

ე) გარემოზე მიყენებულ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ამ კანონის ამოქმედებამდე განხორციელებული ქმედებით;

ვ) ფიზიკური პირის (გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური მეწარმისა), მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეულ გარემოზე მიყენებულ ზიანზე;

ზ) შავ ზღვაზე მცურავი საშუალებიდან ან საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვისას გარემოზე მიყენებულ ზიანზე;

თ) სასარგებლო წიაღისეულზე მიყენებულ ზიანზე;

ი) გარემოზე მიყენებულ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ბირთვული და რადიაციული საქმიანობით.

3. თუ პირის უკანონო ქმედებით გარემოს მიადგა ზიანი, თუმცა გარემოს დაზიანების დონე არ შეესაბამება ამ კანონის დანართი 1-ით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ასევე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ვ", "ზ" და "თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირი ვალდებულია გარემოზე მიყენებული ზიანი აანაზღაუროს ფულადი სახით. გარემოზე მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ადგენს საქართველოს მთავრობა.

4. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება შემთხვევებზე, რომლებსაც არეგულირებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, თუ იმავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ გამომდინარეობს.

5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით მოწესრიგებულ მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის, აგრეთვე, მათი განზრახ დაზიანებისა და განადგურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესთან და ოდენობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

6. ამ კანონის პრინციპების შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო მართვას, რეგულირებას და კონტროლს, რომელიც უკავშირდება „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით რეგულირებულ საქმიანობას, ახორციელებს სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო".

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გარემო – ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

ბ) ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემო – გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ გარემოს, სახეცვლილ და შერეული ტიპის ეკოსისტემებს, ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

გ) გარემოზე მიყენებული ზიანი (შემდგომში - ზიანი) – სამრეწველო ავარიის ან/და ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად გარემოზე მიყენებული უარყოფითი ზემოქმედება. ზიანად არ ჩაითვლება გარემოზე მიყენებული ისეთი უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც წინასწარ იყო განსაზღვრული და აღნიშნულ ქმედებაზე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ, გაცემული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტი ან თანხმობა;

დ) სამრეწველო ავარია – აფეთქება, ხანძარი ან საშიში ნივთიერების (ნივთიერებების) გაჟონვა, რომელიც გამოწვეულია ობიექტზე ტექნოლოგიური (საწარმოო) პროცესების უკონტროლო განვითარებით და რომელიც უეცარ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და გარემოს, როგორც ობიექტის შიგნით, ისე მის გარეთ;

ე) ფორსმაჟორული სიტუაცია – კონკრეტულ ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენა (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა ან სხვა მსგავსი მოვლენა), აგრეთვე ისეთი კრიზისული ვითარება, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფით;

ვ) გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი (შემდგომში - მნიშვნელოვანი ზიანი) – გარემოზე მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ და გარემოს დაზიანების დონე შეესაბამება ამ კანონის დანართი 1-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. გარემოზე მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების შემთხვევაში გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

ზ) ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხე - საკმარისი ალბათობა, რომ გარემოს ახლო მომავალში ზიანი მიადგება;

თ) მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა - თუ მნიშვნელოვანი ზიანი გამოწვეულია ამ კანონის დანართი-2-ით გათვალისწინებული საქმიანობიდან გამომდინარე ან აღნიშნული საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობით, საქმიანობის განმახორციელებელ პირს ეკისრება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა მიუხედავად მისი ბრალეულობისა. აღნიშნულ შემთხვევაში პირს ეკისრება მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და ამ მიზნით ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის ბრალეულობის დამტკიცება საჭირო არ არის;

ი) საკომპენსაციო გამასწორებელი ღონისძიება - მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას განსახორციელებელი ნებისმიერი ქმედება, რომლის მიზანია ბუნებრივი რესურსების ან/და მომსახურების შუალედური დანაკარგების კომპენსაცია, რომელსაც ადგილი აქვს მნიშვნელოვანი ზიანის დადგომიდან გამასწორებელი ღონისძიებების სრული ეფექტის მიღწევამდე;

კ) გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამა - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 45^2 მუხლით განსაზღვრული, გარემოზე ზიანის პრევენციის, დაზიანებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების და გარემოს კვლევის ღონისძიებების დაფინანსება;

ლ) გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისია - საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამაში აკუმულირებული თანხების ფარგლებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, ასევე, ამ კანონით გათვალისწინებული სხვა რეკომენდაციების მიღებას;

მ) პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი;

ნ) დაინტერესებული პირი - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული დაინტერესებული მხარე (მათ შორის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები);

ო) სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

პ) მინისტრი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

ჟ) სააგენტო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტო; **რ) დეპარტამენტი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

ს) საბაზისო მდგომარეობა - გარემოზე ზიანის მიყენების მომენტში ბუნებრივი რესურსებისა და მომსახურების მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანი, რაც ფასდება საუკეთესო ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

თავი II
ძირითადი დებულებები

მუხლი 4. მნიშვნელოვანი ზიანის პრევენცია

1. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის წარმოშობისთანავე საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია:

ა) გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება მნიშვნელოვანი ზიანის პრევენცია/შერბილებისთვის.

ბ) თუ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი ღონისძიების გატარების მიუხედავად მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხე ლიკვიდირებული არ არის, საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს, სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით;

2. დეპარტამენტი უფლებამოსილია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის შესახებ (მათ შორის ნებისმიერი პირის მიერ დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე) საქმიანობის განმახორციელებელ პირს მოთხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ასეთ საფრთხესთან დაკავშირებით.

3. ამ მუხლის პირველი-მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ დადასტურდება მნიშვნელოვანი ზიანის გარდაუვალი საფრთხის არსებობა, დეპარტამენტი უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებელ პირს:

ა) მოთხოვოს მნიშვნელოვანი ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

ბ) მისცეს რეკომენდაციები, მნიშვნელოვანი ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.

4. საქმიანობის განმახორციელებელ პირს ამ მუხლის მე-3 პუნქტის “ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუსრულებლობისთვის ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

5. მნიშვნელოვანი ზიანის პრევენციის/შერბილების ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტი.

6. თუ საქმიანობის განმახორციელებელი არ ასრულებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიას, აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

7. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აანაზღაუროს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამიდან ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით გაღებული ხარჯები. აღნიშნული თანხა მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

მუხლი 5. ზიანის მიყენებისას განსახორციელებელი ღონისძიებები

1. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) მნიშვნელოვანი ზიანის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია;

ბ) განახორციელოს საჭირო ღონისძიება ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად. გადადგას ყველა განხორციელებადი ნაბიჯი შესაბამისი დამაბინძურებლების ან/და ზიანის მიყენების სხვა ფაქტორების დაუყოვნებლივი კონტროლის, შეკავების, მოცილების ან სხვაგვარად მართვის მიზნით, იმისთვის, რომ შემცირდეს ან აღმოიფხვრას შემდგომი ზიანი ან უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოს შემდგომი გაუარესება;

გ) აანაზღაუროს ზიანი ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით, ხოლო მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევაში - ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელებით;

დ) საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებლობით განახორციელოს მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებები;

ე) აანაზღაუროს ამ კანონის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტით, მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-11 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯები;

ვ) მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების დადგენილი წესით შეთანხმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართოს მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ღონისძიებების საერთო ღირებულების 2%, ან ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა, გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის განხორციელების საერთო ვადაში პროპორციულად განწილვადებული, ზემოაღნიშნულ ანგარიშზე მიმართოს ყოველთვიურად.

2. დეპარტამენტი უფლებამოსილია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს:

ა) მოსთხოვოს ინფორმაცია ზიანის შესახებ;

ბ) მოსთხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ან/და განუსაზღვროს სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებები.

გ) მოსთხოვოს მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად;

დ) მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხები მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

მუხლი 6. ზიანის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

1. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დეპარტამენტი აფასებს, სახეზეა ზიანი, თუ მნიშვნელოვანი ზიანი.

2. მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილია ამ კანონის დანართი 1-ით.

3. ზიანის შეფასებისას დეპარტამენტი უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტები ან შეისყიდოს შესაბამისი საექსპერტო მომსახურება.

4. გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შესახებ დეპარტამენტი იღებს მის მიერ ზიანის გამოვლენიდან არაუგვიანეს 120 კალენდარული დღის ვადაში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში დეპარტამენტი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვას. მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შესახებ დეპარტამენტის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, დეპარტამენტი ამ მუხლის მე-6 ან/და მე-7 პუნქტების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

6. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა პირს დაეკისრება მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. თუ მნიშვნელოვანი ზიანი გამოწვეულია ამ კანონის დანართი 2-ით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელ პირს ეკისრება მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად.

8. თუ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელია რამდენიმე პირი, მათ დაეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.

მუხლი 7. მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებები

1. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება გულისხმობს პირის ვალდებულებას, განახორციელოს ზიანის გამასწორებელი ღონისძიებები, შემდეგი აუცილებელი რიგითობით:

ა) გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე) მდგომარეობაში აღგენა;

ბ) გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა;

გ) დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების განხორციელება.

2. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს დადგენილი წესით მის მიერ შემუშავებული და სააგენტოსთან შეთანხმებული ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს მათ შორის საკომპენსაციო გამასწორებელ ღონისძიებებსაც.

3. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ამ მუხლით გათვალისწინებული გეგმების შემუშავებასა და გამასწორებელ ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებლობით.

4. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებს და ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 8. მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრა

1. მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის დროს პირველ რიგში უნდა დადგინდეს, არის თუ არა შესაძლებელი დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

2. თუ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა შესაძლებელია გონივრულ ვადებში და აღნიშნული არ არის დაკავშირებული არათანაზომიერ ხარჯებთან,

მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება.

3. თუ დადგინდება, რომ შეუძლებელია დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ან აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია გონივრულ ვადებში ან დაკავშირებულია არათანაზომიერ ხარჯებთან, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის ვალდებულება.

4. თუ დადგინდება, რომ შეუძლებელია დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადებში ან დაკავშირებულია არათანაზომიერ ხარჯებთან, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება.

5. დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან:

ა) არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს სააგენტოს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტების გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ;

ბ) არაუგვიანეს 180 კალენდარული დღის ვადაში, ამ მუხლის შესაბამისად, სააგენტოს წარუდგინოს მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი (ღონისძიებების ჩამონათვალით და მათი განხორციელების ვადებით). მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს თან უნდა ერთვოდეს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადასტურებული მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

6. მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი ასევე უნდა შეიცავდეს ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების ამავე პუნქტებით დადგენილი რიგითობის დასაბუთებას.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში, სააგენტოს წარუდგინოს დასაბუთება ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, რაც გულისხმობს დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების გამოყენების საჭიროებას.

8. ამ მუხლის მე-5-მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე დროს, თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს ამ მუხლის მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუქტით ან მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილ ვალდებულებას, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიას, მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

9. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამაში არსებული ასიგნების ფარგლებში, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისია დადგენილი წესით შეიმუშავებს რეკომენდაციას მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის, ასევე ამ ღონისძიებების შესაბამისი დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაცია წარედგინება სამინისტროს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრისა და ამ ღონისძიებისთვის შესაბამისი დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე.

10. მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ შესაძლებელია განისაზღვროს სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულება, გარდა დეპარტამენტისა.

მუხლი 9. დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების განსაზღვრა

1. დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იქმნება დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების განმსაზღვრელი კომისია (შემდგომში - სანაცვლო გამასწორებელი ღონისძიებების კომისია).

2. სააგენტო, წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, იხილავს ამ კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ დასაბუთებას და თანხმობის შემთხვევაში წარუდგენს სანაცვლო გამასწორებელი ღონისძიებების კომისიას, რომელიც განსაზღვრავს დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელ მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელ სანაცვლო/ადექვატურ ღონისძიებებს.

3. სანაცვლო გამასწორებელი ღონისძიებების კომისიის მიერ განსაზღვრული, დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებები სააგენტოს მიერ წარედგინება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ვალდებულია, მისი ჩაბარებიდან 180 კალენდარებული დღის ვადაში, სააგენტოს შესათანხმებლად წარუდგინოს ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი (ღონისძიებების ჩამონათვალით და მათი განხორციელების ვადებით). ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს თან უნდა ერთვოდეს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადასტრებული ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

4. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო არ ეთანხმება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დასაბუთებას, შესაბამისი უარყოფითი დასკვნა უბრუნდება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ვალდებულია წარმოადგინოს ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმა ამ კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების დაცვით.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე დროს, თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, მნიშვნელოვანი

ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს ვალდებულებას, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიას, ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

6. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამაში შესაბამისი თანხების არსებობის შემთხვევაში, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისია დადგენილი წესით შეიმუშავებს რეკომენდაციას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის, ასევე ამ ორგანოსთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. კომისიის აღნიშნული რეკომენდაცია წარედგინება სამინისტროს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრისა და ამ ორგანოსთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

7. ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ შესაძლებელია განისაზღვროს სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულება, გარდა დეპარტამენტისა.

8. სანაცვლო გამასწორებელი ღონისძიებების კომისიის შემადგენლობა, ასევე, კომისიის მიერ საკითხის განხილვისა და გაწყვეტილების მიღების წესი დგინდება კომისიის დებულებით, რომელსაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

9. დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების შერჩევის წესს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ადგენს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 10. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დაინტერესებული პირის მონაწილეობა

1. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დაინტერესებული პირის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სააგენტო ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს, მისი სააგენტოში წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, განათავსებს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. გეგმის პროექტის ვებგვერდზე განთავსებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სააგენტო იხილავს დაინტერესებული პირების მიერ ვებგვერდზე წერილობით ან/და მატერიალურად წარმოდგენილ მოსაზრებებს/შენიშვნებს. საჭიროების შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს/მოსაზრებებს უგზავნის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს, მათი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმაში ასახვის მიზნით.

3. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ შენიშვნების/მოსაზრებების მიღებიდან (ჩაბარებიდან) 45 კალენდარული დღის ვადაში სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების საბოლოო გეგმა.

4. გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში მნიშვნელოვან ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამასწორებელი ღონისძიებების საბოლოო გეგმის სააგენტოში წარდგენის ვადის ამოწურვამდე სააგენტოში წარმოადგინოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინებაზე უარის შესაბამისი დასაბუთება, რომელიც განთავსდება სააგენტოს ვებგვერდზე.

5. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტითა და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ორგანო.

მუხლის 11. ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმება და მასში ცვლილების შეტანა

1. სააგენტო ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმას იხილავს და ითანხმებს მისი სააგენტოში წარდგენიდან 120 კალენდარული დღის ვადაში. სააგენტოსთან შეთანხმებული გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესრულება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირისთვის სავალდებულოა.

2. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია სააგენტოს მიმართოს შუამდგომლობით, ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული ღონისძიების შეცვლის თაობაზე. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რომ შეთანხმებული ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულება ვერ უზრუნველყოფს ზიანის გამოსწორებას ან/და ამ ღონისძიების სხვა ღონისძიებით შეცვლა აუცილებელი და ეფექტიანია ზიანის გამოსწორების თვალსაზრისით ან წარმოიშვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რაც განაპირობებს ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმაში ცვლილების შეტანის საჭიროებას.

3. ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით სავალდებულოა ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.

4. ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სააგენტო იღებს შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 60 კალენდარეული დღის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე ჩერდება იმ გამასწორებელი ღონისძიების შესრულების ვადის დინება, რომლის შეცვლაც არის მოთხოვნილი.

5. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ზიანის გამასწორებელი ღონისძიების გეგმის განხილვისთვის, ასევე მასში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვისა და დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების გამოყენების საჭიროების განხილვისთვის სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯების სრულად ანაზღაურება. ხარჯების გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 12. ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების შესრულება და ზედამხედველობა

1. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გამასწორებელი ღონისძიებები შეასრულოს ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

2. ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს დეპარტამენტი.

3. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეუსრულებლობისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფა

1. ამ კანონის დანართი 2-ით გათვალისწინებული, გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, საქმიანობის დაწყებისთანავე გააჩნდეს შესაბამისი გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება.

2. გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის წესს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ადგენს საქართველოს მთავრობა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულება არ ვრცელდება საბიუჯეტო დაწესებულებებზე.

მუხლი 14. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის მიზანი და სახსრების განკარგვა

1. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამისძირითადი მიზნებია:

ა) ზიანის პრევენცია;

ბ) გარემოს მდგომარეობის აღდგენა;

გ) გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება;

დ) გარემოს კვლევა.

2. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის სახსრებს განკარგავს სამინისტრო, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

3. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამიდან დაფინანსებული ღონისძიება შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "ბ", „დ" და "ე" – "თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებს და ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

4. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის შემადგენლობა და კომისიის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული რეკომენდაციების მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 15. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის დაფინანსების წყარო

1. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ე" და "ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხები, ასევე, გარემოზე მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების შედეგად გადახდილი თანხები მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

მუხლი 16. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამიდან დაფინანსებული ღონისძიებების შესრულება და ზედამხედველობა

გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, სამინისტროს გადაწყვეტილებით, დგინდება გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამიდან დაფინანსებული ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი (გარდა დეპარტამენტისა) ან/და ღონისძიებების განხორციელებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო. აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი ღონისძიების მომსახურების შესყიდვა.

თავი III
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

მუხლი 17. გარემოზე ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის ან გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ შეუტყობინებლობა

გარემოზე ზიანის გარდაუვალი საფრთხის ან გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 10 000 ლარამდე.

მუხლი 18. დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა

დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა, -

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 19. ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა

ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარიდან 20 000 ლარამდე.

მუხლი 20. გარემოზე მიყენებული ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა

გარემოზე მიყენებული ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარიდან 40 000 ლარამდე.

მუხლი 21. ამ კანონით გათვალისწინებული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა

ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 10 000 ლარამდე.

მუხლი 22. ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის ან/და განსახორციელებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესახებ დასკვნის წარდგენის მოთხოვნების შეუსრულებლობა

1. გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის ან/და განსახორციელებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესახებ დასკვნის დადგენილ ვადებში წარუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

2. გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის ან/და განსახორციელებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესახებ დასკვნის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარიდან 40 000 ლარამდე.

მუხლი 23. გარემოზე ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შეუსრულებლობა

გარემოზე ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 40 000 ლარიდან 80 000 ლარამდე.

მუხლი 24. გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე

გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 25. ამ კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), მისი აღმოფხვრის თაობაზე სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ამ კანონის იმ მუხლის ან მუხლის პუნქტის მაქსიმალური სანქციის ორმაგი ოდენობით, რომლის დარღვევის გამოც პირს დაეკისრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოფხვრა.

2. ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოფხვრის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ამ კანონის იმ მუხლის ან მუხლის პუნქტის მაქსიმალური სანქციის ოთხმაგი ოდენობით, რომლის დარღვევის გამოც პირს დაეკისრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოფხვრა.

3. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანამშრომლის მიერ უფლების განხორციელებისა და მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 26. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

2. ამ კანონის მე-17-24-ე მუხლებით და 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის გაორმაგებას.

3. ამ თავით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს ამ კანონით დადგენილი ვალდებულებისაგან.

4. ამ კანონის მე-17–25-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს დეპარტამენტი.

5. რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ამ კანონის მე-17–25-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.

6. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი დამრღვევის მიერ საჩივრდება სასამართლოში.

მუხლი 27. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

1. გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

2. პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.

თავი IV
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 28. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის ამოქმედებამდე პირის უკანონო ქმედებით გამოწვეული გარემოზე მიყენებული ზიანი დაანგარიშდეს და ანაზღაურდეს ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესით, ხოლო თუ ამ კანონის ამოქმედებამდე, უკანონო ქმედებით გარემოზე მიყენებული ზიანისათვის პირს ჯერ არ დაკისრებია გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება), ამ პუნქტით გათვალისწინებული პირი უფლებამოსილია 2022 წლის პირველ ივლისამდე მიმართოს დეპარტამენტს და მოითხოვოს ამ კანონით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან/და მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურების მასზე გავრცელება.

2. თუ პირი გამოიყენებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, იგი კარგავს უფლებას აანაზღაუროს გარემოზე მიყენებული ზიანი ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესით.

3. პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, ზიანის შეფასება და შესაბამისად გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან/და მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში და ამ კანონით დადგენილი წესით.

4. ამ კანონის დანართი 2-ით გათვალისწინებული გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებელ პირს, რომლის საქმიანობა დაწყებულია 2023 წლის პირველ იანვრამდე, ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება წარმოეშობა 2023 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 29. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გამოსაცემი და ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ნორმატიული აქტები და გასატარებელი ღონისძიებები

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, 2022 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს ბრძანება „დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების განმსაზღვრელი კომისიის დებულების შესახებ“.

2. საქართველოს მთავრობამ:

ა) 2022 წლის 1 იანვრამდე მიიღოს დადგენილება:

ა.ა) „გარემოზე მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ“;

ა.ბ) „გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებისა და გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესის შესახებ“;

ა.გ) „გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.

ა.დ) „დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების შერჩევის წესის შესახებ“.

ბ) 2023 წლის 1 იანვრამდე მიიღოს დადგენილება „გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ“.

3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საშიში ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №40(47) 11.08.1999).

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2021 წლის პირველი ივნისიდან უზრუნველყონ ამ კანონით მათზე დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის ან/და მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად შესაბამისი კონკურსების გამოცხადების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 30. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-13, 29-ე და 30-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის მე-13 მუხლი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის 29-ე და 30-ე მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*

დანართი 1

მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

1. ბიომრავალფეროვნება:

ა) განადგურდა ან იმგვარად დაზიანდა, რომ წარმოიქმნა განადგურების საფრთხე, საქართველოს ,,წითელი ნუსხის“ შემდეგ კატეგორიაში შემავალი 1 (ერთი) ინდივიდი მაინც:

ა.ა) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი - EN (Endangered);

ა.ბ) გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი - CR (Critically Endangered);

ა.გ) გადაშენებული ეროვნულ დონეზე - RE (Regionally extinct);

ბ) ,,ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციით (ბერნის კონვენცია) მკაცრად დაცული სახეობის:

ბ.ა) 1 ინდივიდი მაინც განადგურდა ან იმგვარად დაზიანდა, რომ წარმოიქმნა მისი განადგურების საფრთხე და ამავდროულად ეს ინდივიდი შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“, შემდეგ კატეგორიებში; გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი - EN (Endangered); გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი - CR (Critically Endangered); გადაშენებული ეროვნულ დონეზე - RE (Regionally extinct);

ბ.ბ) სხვა დანარჩენი სახეობების ინდივიდები განადგურდა, ან იმგვარად დაზიანდა, რომ განადგურების საფრთხე შეექმნა მათ ეროვნულ, ან ადგილობრივ პოპულაციებს;

გ) სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, აღკვეთილის მთლიანი ან ნაწილობრივი (ფართობის 0,1 %-ზე მეტი) განადგურება, რამაც მას დაუკარგა შექმნის მიზანი ან/და დანიშნულება;

დ) ზურმუხტის ან/და რამსარის ტერიტორიას მიადგა ისეთი ზიანი, რამაც მას დაუკარგა შექმნის მიზანი ან/და დანიშნულება;

2. მიწა:

ა) 500 კვ.მ და მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაბინძურების დონე ორჯერ ან მეტჯერ აღემატება საბაზისო მდგომარეობას ან სრულად დეგრადირებულია;

ბ) დაბინძურებული (დაბინძურების დონე აღემატება საბაზისო მდგომარეობას) ან/და დეგრადირებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების - 1500 კვ.მ. ან მეტი ფართობი;

გ) დაბინძურებული (დაბინძურების დონე აღემატება საბაზისო მდგომარეობას) ან/და დეგრადირებულია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული მიწების - 500 კვ.მ ან მეტი ფართობი;

დ) დაბინძურებულია (დაბინძურების დონე აღემატება საბაზისო მდგომარეობას) ან/და დეგრადირებულია ზურმუხტის, რამსარის ან/და ნებისმიერი კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე არსებული მიწების - 250 კვ.მ ან მეტი ფართობი.

3. წყალი:

ა) განხორციელდა ზედაპირული წყლის ობიექტის დაშრეტა, ხოლო მდინარის დაშრეტის შემთხვევაში, მინიმუმ - მდინარის კალაპოტის 500 მეტრის მანძილზე;

ბ) ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობა 10-ჯერ და მეტად აღემატება დადგენილ ნორმებს.

დანართი 2

გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები

1. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართით განსაზღვრული საქმიანობები;

2. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართით განსაზღვრული საქმიანობები, რომლებიც ამავე კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის შედეგად დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

4. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა;

5. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, რომელიც შედის ,,ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის N32 დადგენილების რეგულირების სფეროში;

6. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, რომელიც შედის „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის N263 ბრძანების რეგულირების სფეროში;

7. ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა;

8. სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.